

## სკოლაში მათემატიკის ორენოვანი სწავლების დონის ზრდის ხელშეწყობისთვის კვლევის აუცილებლობა

**აზიზ მამედოვი**

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

### **რეზიუმე**

სტატია ეხება ბილინგვური განათლების საკითხებს. კერძოდ, საქართველოს აზერბაიჯანულენოვან პილოტურ სკოლებში გათვალისწინებულია დირექციისა (დირექტორი, განათლების განყოფილების უფროსი) და მათემატიკის მასწავლებლებთან გამოკითხვის ჩატარება მათემატიკის ბილინგვური სწავლების მიმდინარეობის შესახებ. მიღებული შედეგები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეწოდება. მომავალში აზერბაიჯანულენოვანი სკოლებში მათემატიკის ბილინგვური სწავლების განვითარებისთვის პირობების შექმნაა გათვალისწინებული.

**საკვანძო სიტყვები:** ბილინგვური სწავლება, პილოტური სკოლა

### **აქტუალობა.**

არაქართულენოვან სკოლებში ორენოვანი განათლების კვლევის პრობლემა საგანმანათლებლო მოთხოვნილებების, მათი შესაძლო ხერხების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ქართული საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ არის შემთხვევითი. მშვიდობის დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის სოციალური კვლევის ანგარიში (განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის შეფასება).

ქართული ენის არცოდნასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბარს თან ახლდა ამ პრობლემის მოგვარების გზების განხილვა. ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდად რესპონდენტებს (ნაწილს) ორენოვანი, ბილინგვური სწავლება მიაჩნიათ. ამჟამად ცალკეულ სკოლებში ორენოვანი სწავლება მიმდინარეობს, რასაც ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც.

ორენოვანი სწავლება რესპონდენტების დიდი ნაწილისათვის (ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის) მისაღებია. მათი აზრით, პირველი კლასიდან ამ მეთოდით სწავლის დაწყება არის იმის საფუძველი, რომ სკოლის დამთავრებისას ამ ბავშვებს ქართული ენის ცოდნის პრობლემა არ ექნებათ.

რესპონდენტების შედარებით მცირე ნაწილს მიაჩნია, რომ არაქართველ ბავშვებს გაუჭირდებათ ორივე ენაზე სწავლა, უმჯობესია, ქართული ენის გაკვეთილების რაოდენობა გაიზარდოს და ყოველდღე ჩატარდეს. ქართული ენის სწავლების ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს - მიაჩნია თითქმის ყველას.

სწავლა ორივე ენაზე რთული იქნება, გაუჭირდებათ ბავშვებს. ჯობია, ქართული ენა კვირაში ხუთჯერ იყოს. იყოს ტელევიზორით ქართულის სწავლება ან მულტფილმებით ან რაიმე მსგავსით (ინტერვიუ, მასწავლებელი, აზერბაიჯანელი, ქვემო ქართლი)

მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ მაღალ კლასებში რომელიმე საგნის ქართულ ენაზე სწავლების დაწყებას, როცა ქართული ენა არ იციან სათანადოდ (ან საერთოდ არ იციან) არც მოსწავლეებმა და არც მასწავლებლებმა, არ ექნება არანაირი ეფექტი. თვითონ ასეთი სწავლების წინააღმდეგი არ არიან, მაგრამ ფიქრობენ, რომ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, სკოლების უმრავლესობაში ეს ვერ განხორციელდება.

„ცოტა ადრეა ბილინგური სწავლება“, ვერ იგებენ მოსწავლეები, მაგალითად, ისტორიას. ჯერ ენა უნდა ისწავლონ (ინტერვიუ, მასწავლებელი, ქვემო ქართლი).

წამოყენებული პრობლემის თეორიული აქტუალობა როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ პედაგოგიკაში დაკავშირებულია ორენოვანი განათლების მიზნობრივი კონცეფციის არარსებობით, მიუხედავად მისი ცალკეული ასპექტების შემუშავების დონისა.

**კვლევის ობიექტი** - საგანმანათლებლო პროცესი საქართველოს საპილოტე აზერბაიჯანულენოვან სკოლებში .

**კვლევის საგანი** - შეფერხებების აღმოფხვრა და ორენოვანი განათლების განვითარების დინამიკის განსაზღვრა საქართველოს აზერბაიჯანულენოვან სკოლებში.

**კვლევის მიზანი** - მათემატიკის ორენოვანი სწავლების დონის დინამიკის განსაზღვრა.

ზემოთ აღნიშნული მიზნის მისაღწევად გთავაზობთ შემდეგ **ამოცანებს**:

1. საპილოტე სკოლების განსაზღვრა;
2. განათლების სამინისტროს მიერ ორენოვანი პროგრამით განხორციელებული პროექტების ნახვა;
3. დამწყები პროფესიული განათლების გაცნობა ორენოვანი პროექტებით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ვაყენებთ ჰიპოტეზური მდგომარეობების რიგს:

1. საქართველოში მათემატიკის ორენოვანი სწავლება წარმოადგენს ფენომენს, რომელსაც აქვს უნივერსალური მნიშვნელობა პედაგოგიური თეორიის და პრაქტიკის განვითარებისთვის;
2. როგორც ქართული ენის სწავლების ალტერნატიული გზა და საგნობრივი შინაარსის შეთვისება, ორენოვანი განათლება წყვეტს რიგ საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ამოცანების კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ მშობლიური კულტურის გაცნობას;
3. საქართველოში მათემატიკის ორენოვანი სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეების ენობრივი, საგნობრივი და კულტურათმშორის კომპეტენციებში მაღალი დონის მიღწევას, ასევე უზრუნველყოფს საუკეთესო შანსს კურსდამთავრებულთა ცხოვრებისეულ და პროფესიულ თვითგანსაზღვრაში;

4. ორენოვანი განათლების ეფექტურობის უზრუნველყოფა ხორციელდება საგნობრივი შინაარსის, ზოგადი დიდაქტიური და სპეციალური მეთოდების და ხერხების, ასევე ორენოვანი სწავლების მეთოდების ოპტიმალური შერჩევით.

#### კვლევის განმავლობაში გამოვიყენებთ შემდეგ მეთოდებს:

1. საპილოტე საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება სკოლებში(მათემატიკის გაკვეთილებზე);
2. ანკეტირება (მათემატიკის მასწავლებლების და სკოლის ადმინისტრაციის გამოკითხვა);
3. ინფორმაციის გადამუშავებისთვის მათემატიკის გამოყენება (ალბათობითი, სტატისტიკური, კენტი სიმრავლეების ელემენტები და ლოგიკა).

#### კვლევის ეტაპები:

1. **საძიებო ეტაპი.** გამოვიმუშავოთ კვლევის საფუძვლიან პოზიციებს, შევისწავლოთ საპილოტე აზერბაიჯანულენოვან სკოლებში მათემატიკის სწავლების პროლემებს. გავამყარებთ კავშირს რესურს-ცენტრებსა და განათლების სამინისტროსთან.
2. **ძირითადი ეტაპი.** საპილოტე სკოლებში საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება და მათემატიკის მასწავლებლების გამოკითხვა;
3. **დამამთავრებელი ეტაპი.** ინფორმაციის გადამუშავება, ანალიზი და მონაწილეობის მიღება საერთაშორისო პროექტებში „ორენოვანი განათლება უმაღლეს და საშუალო სკოლაში“. განათლების სამინისტროსთვის კვლევის შედეგების მიწოდება.

შედეგების უტყუარობასა და დასაბუთებას უზრუნველყოფთ მეთოდოლოგიური პოზიციების სიზუსტის დაცვით, თეორიული დასკვნის შიდა წინააღმდეგობების გარეშე, კვლევის მეთოდების გამოყენებით, რომელიც შეესაბამება ცალკეული ეტაპის ამოცანებსა და სპეციფიკას, მიღებული შედეგების საქართველოს პედაგოგიური და სოციალური პრაქტიკით დადასტურებით.

#### სამეცნიერო საიხლე და კვლევის თეორიული მნიშვნელობა:

1. საპილოტე აზერბაიჯანულენოვან სკოლებში ორენოვანი სწავლების დონის განსაზღვრა;
2. მეორეული გამოკითხვის გამოყენებით მათემატიკის სწავლების დონის ზრდის დინამიკის განსაზღვრა;
3. კენტი სიმრავლეების და ლოგიკის ელემენტების პირველადი გამოყენება ინფორმაციის გადამუშავებისთვის.

#### გამოყენებული ლიტერატურა :

1. მშვიდობის დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის სოციალური კვლევის ანგარიში (განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის შეფასება). 2011წ.

